ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 95 წლის იუბილესთან დაკავშირებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში პირველ საფაკულტეტო კონფერენციაზე პლენარული მოხსენების შესახებ

1. კონფერენციაზე უნდა გაკეთდეს პლენარული სამეცნიერო მოხსენება და პლენარული მოხსენება დეპარტამენტის შესახებ (შემდგომში მოხსენება).
2. მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წინა წელს გამოქვეყნებულ შრომებთან დაკავშირებით:
   2.1. Thomson Reuters-ის კლასიფიკატორის მიხედვით იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში პუბლიკაციების რაოდენობა ჟურნალების ჯამური იმპაქტ ფაქტორის მითითებით, პუბლიკაციების საშუალო იმპაქტ ფაქტორის მითითებით;
   2.2. სხვა საერთაშორისო პუბლიკაციების რაოდენობა;
   2.3. პუბლიკაციების რაოდენობა ადგილობრივ გამოცემებში.
3. მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია წინა წელს სამეცნიერო ფორუმებზე გაკეთებულ მოხსენებებთან დაკავშირებით:
   3.1. მოხსენებების რაოდენობა საერთაშორისო კონფერენციაზე;
   3.2. მოხსენებების რაოდენობა ადგილობრივ კონფერენციაზე;
   3.3. მოხსენებების რაოდენობა ადგილობრივ სემინარზე:
      3.3.1. ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ გაკეთებული მოხსენება;
      3.3.2. სხვა ნებისმიერი მოხსენება, მათ შორის მოხსენება, გაკეთებული უცხოელი პროფესორის მიერ.
   3.4. მოხსენებების რაოდენობა სემინარზე ქვეყნის გარეთ.
4. სამეცნიერო პროექტებთან დაკავშირებით მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:
   4.1. გასულ წელს მიღებული საერთაშორისო გრანტების რაოდენობა, პროექტების ჯამური დაფინანსება და მათ შორის ფაკულტეტის პერსონალის ჯამური დაფინანსება;
   4.2. გასულ წელს მიღებული ადგილობრივი გრანტების რაოდენობა, პროექტების ჯამური დაფინანსება და მათ შორის ფაკულტეტის პერსონალის ჯამური დაფინანსება;
   4.3. გასულ წელს მიღებული სტიპენდიების (Scholarship, Fellowship) რაოდენობა;
   4.4. გასულ წელს გაფორმებული სახელშეკრულებო თემების რაოდენობა, პროექტების ჯამური დაფინანსება და მათ შორის ფაკულტეტის პერსონალის ჯამური დაფინანსება.
5. მიმდინარე სამუშაოებთან დაკავშირებით მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს:
   5.1. გასულ წელს დასრულებულ პროექტთა რაოდენობა;
   5.2. განაცხადების რაოდენობა, რომელიც გასულ წელს გაკეთდა; შედეგად პროექტი არ დაფინანსდა ან გადაწყვეტილება ჯერ მიღებული არ არის;
   5.3. Thomson Reuters-ის კლასიფიკატორის მიხედვით იმპაქტ ფაქტორის მქონე გამოცემებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომთა რაოდენობა;
   5.4. სხვა საერთაშორისო გამოცემებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომთა რაოდენობა;
   5.5. ადგილობრივ გამოცემებში გამოსაქვეყნებლად წარდგენილ ნაშრომთა რაოდენობა;

5.6. სამეცნიერო–კვლევითი თემების რაოდენობა, რომელიც დამუშავების პროცესშია, რომლის ფარგლებში გასულ წელს მიღებულია სამეცნიერო შედეგი და არ ხვდება არცერთ ზემოთ მოცემულ კატეგორიაში.

6. მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს წინა წელს მიღებული
   6.1. ჯილდოების რაოდენობა;
   6.2. პრემიების რაოდენობა.
7. მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო კვლევებში გასულ წელს:
   7.1. სტუდენტთა მონაწილეობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების რაოდენობა:
      7.1.1. საერთაშორისო გამოცემებში;
      7.1.2. ადგილობრივ გამოცემებში.
   7.2. გამოქვეყნებული ნაშრომის (თანა)ავტორ სტუდენტთა რაოდენობა.
   7.3. სტუდენტების მიერ გაკეთებული მოხსენებების რაოდენობა:
      7.3.1. საერთაშორისო კონფერენციაზე;
      7.3.2. ადგილობრივ კონფერენციაზე;
      7.3.3. სემინარზე;
      7.3.4. სტუდენტურ კონფერენციაზე.
   7.4. სამეცნიერო ფორუმზე გაკეთებული მოხსენების (თანა)ავტორ სტუდენტთა რაოდენობა.
   7.5. კონკურსებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა:
      7.5.1.სტუდენტური ინოვაციების კონკურსში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
      7.5.2. სტუდენტური ნაშრომების კონკურსში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
      7.5.3. სხვა ადგილობრივ კონკურსებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა;
      7.5.4. საერთაშორისო კონკურსებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა.
8. მოხსენებაში წარმოდგენილი უნდა იყოს გასულ წელს მეცნიერების პოპულარიზაციაში მონაწილეობა:
   8.1. საბავშვო უნივერსისტეტის ფარგლებში
      8.1.1. წაკითხულ ლექციათა რაოდენობა;
      8.1.2. ვიქტორინაში მონაწილეობა;
      8.1.3. გაცვლითი ღონისძიებების რაოდენობა, მაგ. ვიზიტი სკოლაში ან რესურს ცენტრში;
      8.1.4. მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა.
   8.2. სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა:
      8.2.1. ღონისძიებების რაოდენობა;
      8.2.2. მონაწილეთა რაოდენობა.
9. მოხსენებაში რაოდენობრივ ინდიკატორთან ერთად მოცემული უნდა იქნეს ინდიკატორი ერთ პერსონალზე გადაანგარიშებით ნიმუშის შესაბამისად (confENS2013stat.xls).
10. პლენარული სამეცნიერო მოხსენება აუცილებლად უნდა შეიცავდეს გასულ წელს მიღებულ სამეცნიერო შედეგს.
11. პლენარულ სამეცნიერო მოხსენებაში ნებადართულია წინა წლებში მიღებული შედეგების წარმოდგენა.

12. პლენარული სამეცნიერო მოხსენების ავტორი ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ მოხსენება განკუთვნილია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა დეპარტამენტის პერსონალისთვის.
13. პლენარული მოხსენების საპრეზენტაციო ფაილი უნდა აიტვირთოს კონფერენციის ვებ გვერდზე მოხსენების გაკეთებიდან ერთი დღის ვადაში.